



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 03 ივნისი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25 ივნისი, 2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები
განათლების საფეხური	III საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ინჟინერიის დოქტორი, 04
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია მოსაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა თიკანაშვილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე, რომლის ისტორიაც ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლის და ეფუძნება ნ.მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დაგროვილ სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს და გამოცდილებას. ფაკულტეტის 55 აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოც.პროფესორი, ემერიტუსი) 36 -ს სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციები შესრულებული, დაცული აქვთ საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტის სამი: მექანიკამანქანათმშენებლობის, მშენებლობის და ტრანსპორტის; ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტების ლაბორატორიებში და საინფორმაციო ცენტრებში, სავლე პირობებში, მაღალი რისკის ობიექტებზე, რეგიონში არსებულ საწარმოო ლაბორატორიულ ბაზებზე. ფაკულტეტის ბაზაზე ჩატარებულია საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები და აღსანიშნავია, რომ ინჟინერიის სხვადასხვა დარგში ფაკულტეტზე მიმდინარე კვლევების შედეგები პერიოდულად ქვეყნდება ეროვნულ და საერთაშორისო გამოცემებში. მნიშვნელოვანი შედეგები არის მიღებული საგრანტო პროექტების შესრულებაში. 2010-2017 წწ. ფაკულტეტზე სულ მომზადებული იქნა 40 კვლევითი პროექტი, რომელთაგან დაფინანსდა 23 პროექტი ჯამური მოცულობით 2 100 000 ლარი, რამაც საშუალება მისცა ფაკულტეტს შეეძინა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარები და განეახლებინა კვლევების ლაბორატორიული ბაზა. დოქტორანტების მომზადებას და კვლევითი სამუშაოების ჩატარებას ხელს უწყობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორისაა შ.ესენოვის სახელობის კასპიის ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ.აქტაუ, ყაზახეთის რესპუბლიკა), კერძოდ კი მანქანათმშენებლობაში ერთობლივი კვლევების ჩატარება, აკადემიურ მობილობის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება და დოქტორანტების მომზადება. ფაკულტეტზე მოქმედებდა რუსულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხა დოქტორანტები ყაზახეთიდან, მათგან სამმა აწსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სპეციალობით. აღნიშნული სამეცნიერო პოტენციალის საფუძველზე ფაკულტეტზე მოქმედებდა საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამები: 1. მასალების მიღება, დამუშავება და ხარისხის კონტროლი; 2. მასალები, ტექნოლოგიური პროცესები და მანქანები, სამშენებლო ნაგებობები (ქართული და რუსულენოვანი); 3. მათემატიკური მოდელირება ინჟინერიაში; 4. მშენებლობა; 5. ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მართვა. კვლევების ხარისხის ამაღლების, არსებული სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანების და საერთო მიზნის არსებობის გათვალისწინებით ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში 2018-2024 წლებისათვის დაგეგმილი აქვს ზემოთ ჩამოთვლილი სადოქტორო პროგრამების შეჩერება და მათ ბაზაზე კონსოლიდირებული სადოქტორო პროგრამის შექმნა. სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტმა შეაჩერა ეს სადოქტორო პროგრამები და შეიმუშავა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“. პროგრამის 135 კრედიტი განკუთვნილია სამეცნიერო კომპონენტისთვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 8 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი. მათი სამეცნიერო კვლევების თემატიკა მოიცავს პროგრამის მიზნებით და შედეგებით გათვალისწინებულ მიმართულებებს. პროგრამაში გვხვდება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რომელთა განხორციელება მოხდება მინიაპოლისის (აშშ) უნივერსიტეტის ემერეტუს-პროფესორის ჰამიდ ნეჟადის მიერ; ის ასევე ჩართული იქნება სამეცნიერო კვლევებში ენერგომენეჯმენტის

მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია მზაობა პროგრამის განხორციელებაში საქართველოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მეცნიერების თანამონაწილეობის შესახებ.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N389-ის საფუძველზე (17.05.2019) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისათვის შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ია მოსაშვილი (თავმჯდომარე), ვახტანგ ბალავაძე (წევრი), ალექსანდრე წაქაძე (წევრი), ნიკა თიკანაშვილი (წევრი). დაწესებულებაში ვიზიტი განხორცილდა 2019 წლის 3 ივნისს, წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაამუშავეს დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ონლაინ და პირისპირ შეხვედრების (31.05.2019; 02.06.2019) შედეგად ერთმანეთს გაუზიარეს ის მიგნებები, რაც დოკუმენტაციის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. დაწესებულების მხრიდან, აკრედიტაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო მაღალ დონეზე. შეხვედრები განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ობიექტზე; ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა შემაჯამებელი შეხვედრა და ამის შემდეგ მათ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ის ძირითადი მიგნებები, რაც მათ მიერ იქნა შემუშავებული „საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების სადოქტორო პროგრამაზე“ მუშაობის ფარგლებში. აკრედიტაციის ვიზიტი დასრულდა 19:00 სთ-ზე.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - 1.1. პროგრამის მიზნები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.3. სასწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
 - 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- 4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი;
- ჩასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგების ბლოკი;
- სასწავლო კურსის „კონსტრუქციების გაანგარიშების მოდელები“ სილაბუსში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული კომპიუტერული პროგრამული კომპლექსი, რომლის გამოყენებითაც მოხდება კონსტრუქციების მოდელირების შესწავლა და მიღებული შედეგების ანალიზი;
- სილაბუსში სალექციო თემას „საანგარიშო სქემის აგება“ უნდა დაემატოს ჩანაწერი: „საანგარიშო სქემის აგება პროგრამული კომპლექსი „ANSYS“-ს ან სხვა კომპიუტერული პროგრამული კომპლექსის საშუალებით“;
- დისერტაციაზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლიტერატურა, მით უფრო, თუ საკვლევი საგანი მოითხოვს თანამედროვე მეთოდების და საშუალებების გამოყენებას.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გასათვალისწინებელია რომ, მცირეა საერთაშორისო კვლევებსა და პროექტებში ჩართულ დოქტორანტთა რაოდენობა, კარიერული განვითარების მიზნით სასურველი იქნებოდა მათი ინფორმირება მეტი საერთაშორისო პროექტების შესახებ და მათი გააქტიურება კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე მათი ჩართულობის ხელშეწყობა შესაბამის საერთაშორისო მობილობის სქემებსა და გრანტებში.
- დოქტორატებთან ინტერვიუს დროს დაფიქსირდა სურვილი და მათ კვლევებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით სასარგებლო იქნებოდა თანახელმძღვანელად/ ხელმძღვანელებად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.
- უსდ-ს მხრიდან მოხდეს ახალი თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიების მოწყობა საინჟინრო პროგრამების უნივერსიტეტის ბაზაზე სრულფასოვნად განსახორციელებლად.
- პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა გაუწიოს პოპულარიზაცია საინჟინრო მიმართულებებს, განსაკუთრებით აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას,

რათა მეტი სტუდენტი მოიზიდოს და უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

- უმჯობესია, რომ სილაბუსებში მეტი თავისუფლება მიეცეთ სილაბუსის ავტორებს კრედიტების განაწილებისა და შეფასების სისტემის შედგენისას და სილაბუსი არ იყოს სრულად უნიფიცირებული შიდა ხარისხის სამსახურის მიერ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; განათლების და მეცნიერების სტრატეგია; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (მველი). პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახულ მიზნებს და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს სადოქტორო პროგრამის გავლის შემდეგ, კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს საინჟინრო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით, მეცნიერული კვლევის საფუძვლზე მოახდინონ ინჟინერიის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, ასევე კურსდამთავრებულებს შეეძლება სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული ცალკეული ერთეული ეპიზოდების გარდა, კერძოდ: თვითშეფასების დოკუმენტში, პროგრამის მიზნების ბლოკში, სფეროების/დარგების (ენერგეტიკაში, მასალების ინჟინერიაში, მშენებლობაში, მექანიკის ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში) დაკონკრეტება არარელევანტურია მოცემული პროგრამის ფარგლებში, რაც საჭიროებს ჩასწორებას კურიკულუმის პროგრამის მიზნების შესაბამისად. ასევე, სასწავლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამის ერთ-ერთ მიზნად ასევე მითითებულია - „ახალი საანგარიშო მოდელების შექმნა და ანალიზი, საინჟინრო ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური სისტემების პარამეტრების დადგენა და ოპტიმიზაცია“ ხოლო თვით შეფასების დოკუმენტში აღნიშნული მიზანი ინტერპრეტირებულია როგორც უნარი რომლის გამოყენებითაც სტუდენტს შეეძლება პროგრამის მიზნის მიღწევა. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას აღნიშნული განსხვავებები წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე უცხოელ ექსპერტთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის მიზნები, რომელიც ჩამოყალიბებულია კურიკულუმში, გახლავთ ის მიზნები, რომლებსაც ისახავს მიზნად აღნიშნული პროგრამა. საინჟინრო ტექნოლოგიების და სისტემების სადოქტორო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამა თავისი

<p>სტრუქტურით და შინაარსით ორიენტირებულია საინჟინრო დარგში ინტერდისციპლინარული კვლევების წახალისებით და ხელშეწყობით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კადრების მიმართ ინტერესის ზრდას ინოვაციური პროექტების დანერგვის გზით. აქვე, პროგრამის სასარგებლოდ გვსურს აღვნიშნოთ, რომ შეინიშნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მზაობა, განახორციელონ ეფექტური აქტივობები პროგრამის სამეცნიერო ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აწსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.atsu.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ჩასწორდეს პროგრამის მიზნების ბლოკი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ცალკეული ეპიზოდების გარდა, კერძოდ: პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია „ზოგად“ და „დარგობრივ“ კომპეტენციებიებად, რაც გაუგებარია და ბადებს გარკვეულ კითხვებს. მოცემული სადოქტორო პროგრამა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან სასწავლო და კვლევითი, ხოლო სასწავლო კომპონენტი რომელიც განსაზღვრულია 40 სასწავლო კრედიტით, შედგება ზოგადი კურსებისაგან (30 კრედიტი) და კონცენტრაციების მიხედვით არჩევითი კურსებისაგან (15 კრედიტი), წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს რომ, ზოგადი კურსები დოქტორანტს აძლევს ცოდნას დარგის მთავარი პრობლემების და მათი სამეცნიერო კვლევის ზოგადი გზების შესახებ, ხოლო კონცენტრაციების მიხედვით არჩევითი კურსები ხელს უწყობს დოქტორანტს გაიღრმავოს ცოდნა მის მიერ არჩეულ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით, კვლევითი კომპონენტი (135 კრედიტი) დოქტორანტს გამოუმუშავებს შექმნილი თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების სამეცნიერო კვლევის პროცესში გამოყენების უნარს. შესაბამისად „ზოგად კომპეტენციებად“ წარმოდგენილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, ასევე არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. რაც შეეხება „დარგობრივ კომპეტენციებად“ წარმოდგენილ სწავლის შედეგებს, გარკვეული სწავლის შედეგები თეორულად მიღწევადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ყველა არჩევით კურსებს აირჩევს მხოლოდ ერთი კონკრეტული კონცენტრაციიდან, მაგალითად „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: პირველი კონცენტრაცია - მანქანათმშენებლობის დარგში პროდუქციის ხარისხის ანალიზს და კონტროლს; მეოთხე კონცენტრაცია - კონსტრუქციების დინამიკის რიცხვით გაანგარიშებას თერმომექანიკური დატვირთვისას. ასევე ამავე ჯგუფში გვხვდება სწავლის შედეგები, რომლებიც მიღწევადია სხვადასხვა კონცენტრაციებიდან კურსების არჩევით, მაგალითად პირველი კონცენტრაცია - მონაწილეობის მიღებას ახალი პროდუქციის შექმნასა და დანერგვაში. გამომდინარე აღნიშნულიდან, მიზანშეწონილი არ არის სწავლის შედეგების ამ ფორმით დაყოფა, ასევე უნდა მოხდეს სწავლის შედეგების დაზუსტება. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა უცხოელმა ექპერტმა აღნიშნეს, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად სხვადასხვა კონცენტრაციიდან აირჩიოს მისთვის საჭირო სასწავლო კურსები. უნდა აღინიშნოს, რომ არჩევითობა და კონცენტრაციების მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ ხაზს უსმევს ინტერდიციპლინარული სამეცნიერო კვლევის შესაძლებლობას.

პროგრამის პერსონალის მიერ დადგენილია შედეგების სამიზნე ნიშნულები და შემუშავებულია შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც ჩაშლილია შეფასების, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზები. თეორიული ცოდნის შედეგების შეფასებისათვის გამოყენებულია პრეზენტაციის, დისკუსიის, პრაქტიკული დავალების შეფასების, სასემინარო თემის შეფასების მეთოდები. კვლევითი და პრაქტიკული უნარების შედეგები აისახება დოქტორანტის კოლოქვიუმებში, პუბლიკაციებში, კონფერენციებში მონაწილეობასა და სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც კვლევითი კომპონენტის შემადგენელია. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდებს, პროგრამის პერსონალი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლისგან, სტუდენტისგან და აკადემიური პერსონალისგან გამოკითხვის ჩატარების სახით; შემდგომ ხდება მიღებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, თუმცა, როგორც ინტერვიუზე აღნიშნა თვითშეფასების ჯგუფმა, სამწუხაროდ, კითხვარებიდან ყოველთვის არ ამოდის საჭირო ინფორმაცია, რის გამოსასწორებლადაც უნივერსიტეტის პერსონალი მუდმივად აახლებს და აკორექტირებს კითხვარებს.

პროგრამის შედეგების შემუშავებაში, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი - იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, დამსაქმებლისგან და ა.შ. რაც შეეხება პოტენციური დამსაქმებლის პროგრამაში ჩართულობას, ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ გაეცნენ პროგრამას, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღიათ მის შემუშავებაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“;
 - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
 - პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა;
 - ინტერვიუს შედეგები.

- რეკომენდაციები:**
- ჩასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგების ბლოკი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მიღებულია:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ინჟინერიაში;
2. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;

<p>3. ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა).</p> <p>გამონაკლის შემთხვევებში, თუ აპლიკანტს გააჩნია დარგში პრაქტიკული ან/და კვლევითი მუშაობის გამოცდილება (რაც დასტურდება დოკუმენტალურად, შესაბამისი ნაშრომების ან სხვა სახით), მომავალი სადოქტორო ნაშრომის კვლევის დარგთაშორისი თემატიკიდან გამომდინარე და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, აპლიკანტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის პრეროგატივას, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.</p> <p>მისაღები გამოცდები ტესტური ფორმით ტარდება უცხო ენასა და შესაბამის სპეციალობაში. კონკურსის შემთხვევაში, თანაბარი ქულების დაგროვებისას მხედველობაში მიიღება: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, გამოქვეყნებული შრომები და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სსიპ - აწსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილება. • აწსუ-ს ვებ გვერდი https://atsu.edu.ge/; • ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ არის კომპლექსური პროგრამა ინჟინერიის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ინჟინერიის დოქტორი“, რაც შეესაბამება ძველ კვალიფიკაციათა ჩარჩოს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა აკრედიტაციაზე შემოტანილია მანამ, სანამ ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩო დამტკიცდებოდა. შესაბამისად, განხილვა განხორციელდა ძველი კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით. შედგენისას გამოყენებული აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის პოლიტიკა „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა“ და აღნიშნული კონცეფციით გათვალისწინებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისობაშია. კრედიტების გაანგარიშება და შეფასების სისტემა ფორმირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის მიხედვით.

პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უზრუნველყოფს საინჟინრო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელსაც სურვილისამებრ შეუძლია დარგობრივი მიმართულებით პროფესიული საქმიანობის წარმოება და ასევე სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა. რაც უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურის შესაბამის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. პროგრამა უმეტესად მოიცავს მრავალფეროვან და გამართულ სასწავლო კურსებს, რომელთა მიზნებისა და შედეგების წარმატებულად მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტები ეფექტურად გააგრძელებენ მუშაობას შესაბამის დარგში.

პროგრამა შედგება კონცენტრაციებისაგან, თუმცა პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კონცენტრაციები არ ზღუდავს სტუდენტს, აირჩიოს სასურველი საგანი სხვა კონცენტრაციიდან. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები (სასწავლო და კვლევითი) ფორმირებული არის პრინციპით ზოგადიდან კონკრეტულისკენ, რაც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრულ სქემას. სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი) შედგება:

1. ზოგადი კურსებისაგან (30 კრედიტი), რომელიც დოქტორანტს აძლევს ცოდნას დარგის მთავარი პრობლემების და მათი სამეცნიერო კვლევის ზოგადი გზების შესახებ. ჩამოუყალიბებს პრობლემის იდენტიფიცირების, ამოცანის ფორმირების, პრობლემის გადაჭრის გზის დაგეგმვის და განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზის და

პუბლიკაციის, გასაჯაროების ზოგად უნარებს. 2. კონცენტრაციების მიხედვით არჩევითი კურსებისაგან (15 კრედიტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია (დამტკიცებული აკად. საბჭოს დადგენილებით №49 (17/18) 09.02.2018);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ). http://eqe.gov.ge/res/docs/3_28.09.pdf;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ზოგადი კურსების სწავლის შედეგები ერთობლივად ფარავს პროგრამის სწავლის შედეგების ზოგად ნაწილს და მოიცავს მთლიანად დარგის სამეცნიერო მეთოდების, თეორიების, კვლევის ხერხების ზოგად თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების და სწავლების უნარებს.

არჩევითი სასწავლო კურსები გათვლილია პროგრამის სწავლის შედეგების დარგობრივ მიმართულებებზე. კონკრეტული კურსების სწავლის შედეგები კომპლექსში მთლიანად მოიცავს პროგრამით გათვალისწინებულ დარგობრივ კომპეტენციებს და დოქტორანტს აძლევს ცოდნას კონკრეტული მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევის ჩასატარებლად საჭირო თეორიების, მეთოდების, ხერხების შესახებ.

კურსების სილაბუსები მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები (რომელიც თავის მხრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს), შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურ ბმაშია ამავე კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგებთან. სილაბუსებში გამოყენებული კრედიტების განაწილების სისტემა უნიფიცირებულია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არ იწვევს ხელშეშლას პროგრამის შედეგების მისაღწევად, რად დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების დროსაც.

სალექციო კურსში წარმოდგენილი ამოცანების დაძლევა, მაგალითად, სასწავლო კურსში: „სასრულ ელემენტთა მეთოდი“, კონკრეტულად არის მოცემული მხოლოდ ერთი კომპლექსური საანგარიშო კომპიუტერული პროგრამა „ANSYS“. ხოლო, სასწავლო კურსის

„კონსტრუქციების გაანგარიშების მოდელები“ სილაბუსში, არ არის მითითებული კონკრეტული კომპიუტერული პროგრამული კომპლექსი.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრული ვერსიებით. ეფუძნება საინჟინრო სფეროს კლასიკურ თეორიებს. გარდა ამისა კურსების შესწავლის პროცესში დოქტორანტს, როგორც მომავალ მეცნიერს, ევალება დარგის კვლევის შესახებ უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ- კატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე; <http://search.epnet.com/>; <http://journals.cambridge.org/> Cambridge university press. Elgaronline, Royal Society Publishing; Sage Journals; ScienceDirect; IMF Elibrary, Scopus, eDuke Journals Scholarly Collections და სხვ.

წინა წლების (სხვა მონათესავე პროგრამების) სადისერტაციო ნაშრომების განხილვის დროს, აღმოჩნდა, რომ დისერტანტები სხვა თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად იყენებენ საკმაოდ მოძველებულ ლიტერატურას. მაგალითად, გამოყენებულ ლიტერატურაში საკმაოდ მოძველებული, რუსული სახელმძღვანელოებია მითითებული (მაგ, 1937 - 1980 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- პროგრამის ხელმძღვანელის CV;
- აკადემიური პერსონალის შრომები (მოცემულია CV-ებში);
- დაცული დისერტაციები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „კონსტრუქციების გაანგარიშების მოდელები“ სილაბუსში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული კომპიუტერული პროგრამული კომპლექსი, რომლის გამოყენებითაც მოხდება კონსტრუქციების მოდელირების შესწავლა და მიღებული შედეგების ანალიზი.
- სილაბუსში სალექციო თემას „საანგარიშო სქემის აგება“ უნდა დაემატოს ჩანაწერი: „საანგარიშო სქემის აგება პროგრამული კომპლექსი „ANSYS“-ს ან სხვა კომპიუტერული პროგრამული კომპლექსის საშუალებით“.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსებში მეტი თავისუფლება მიეცეთ სილაბუსის ავტორებს კრედიტების განაწილებისას და ის არ იყოს სრულად უნიფიცირებული შიდა ხარისხის სამსახურის მიერ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტი დოქტორანტს, კონკრეტული მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევის ჩასატარებლად საჭირო თეორიების, მეთოდების, ხერხების შესახებ შეძენილი ცოდნის საფუძველზე, ჩამოუყალიბებს კვლევითი სამუშაოს წარმართვის პრაქტიკულ უნარჩვევებს. აღნიშნული პროცესის წარმართვა პროგრამისფარგლებში ხდება კომპლექსურად. სემინარები და კონცენტრაციების კურსები თეორიული ცოდნის პარალელურად ახდენენ სამეცნიერო</p>

კვლევის პრაქტიკული უნარების განვითარებას, ხოლო სამეცნიერო კომპონენტი კონკრეტული პრობლემის სამეცნიერო კვლევის და მიღებული შედეგების რეალიზაციის საფუძველზე, დოქტორანტს გამოუმუშავებს შეძენილი თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების სამეცნიერო კვლევის პროცესში გამოყენების უნარს.

პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენება ფაკულტეტის ბაზაზე და პარტნიორ ორგანიზაციებში არსებული ლაბორატორიული ბაზა.

დოქტორანტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის კვლევითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები წარადგინონ უნივერსიტეტის, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე. პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოხატავენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და განხორციელებულ რეგიონული მასშტაბის კვლევით პროექტებში, რიგ სხვა ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებულია რექტორატის, დეკანატის ან პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის დოქტორანტები ჩართული არიან კურსკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, როგორცაა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო, სასწავლო და შემოქმედებითი აქტივობები (ფესტივალები, სამეცნიერო პიკნიკები, დასაქმების ფორუმები და სხვა).

დოქტორანტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ ზემოთაღნიშნული საშუალებების გამოყენების შედეგად დამუშავებული სამეცნიერო თემები, გამყარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგებით მონაწილეობას იღებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, უნივერსიტეტის ლაბორატორიული ბაზა გამოიყენება დოქტორანტების მიერ, როგორც სწავლების პერიოდში კვლევითი სამუშაოების განხორციელების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ყველა ლაბორატორია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ელექტროენერგეტიკის ლაბორატორია, რომელიც განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ლაბორატორიული, საბიბლიოთეკო, მატერიალური -ტექნიკური რესურსი,
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- დაცული დისერტაციები;
- ინტერვიუების შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამაში გამოყენებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები შერჩეულია პროგრამის მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ის ასახულია პროგრამისა და სილაბუსების სწავლის შედეგების მატრიცებში.</p> <p>პროგრამაში გამოიყენება სწავლების მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ სწავლის შედეგებით დასახული კომპეტენციების მიღწევას და კურსდამთავრებულს აძლევს ცოდნით</p>

აქტიური ოპერირების და მის პრაქტიკაში გამოყენების, პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების და დამოუკიდებლად მუშაობის, კოგნიტური, ტრანსფერული, ანალიზის და სინთეზის უნარების განვითარების შესაძლებლობას. კონკრეტული მეთოდების კომპლექსის გამოყენებისას გათვალისწინებულია კონკრეტული კურსის სპეციფიკა და შინაარსი.

სასწავლო კურსის შინაარსის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლებასწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.)

პროგრამით გათვალისწინებულია შედეგების მიღწევა დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობით, რომელსაც ის ახორციელებს რეკომენდირებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის, დამოუკიდებლად მოპოვებული რესურსების გამოყენების საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მისაღწევად, როგორც სასწავლო გეგმის კომპონენტები გამოიყენება სემინარი, პედაგოგიური პრაქტიკა და კოლოქვიუმი.

სადოქტორო სემინარი წარმოადგენს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, რომლის თემა ფარავს დარგის/მიმართულების აქტუალურ საკითხს, სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობას. სემინარების სავარაუდო თემატიკა განისაზღვრება სასწავლო კურსების შესწავლილი თემებისა და დოქტორანტის დისერტაციის თემის გათვალისწინებით. სემინარის მიზანია არჩეული თემის სიღრმისეული განხილვა და პრობლემატური საკითხების გაცნობიერება, პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება. სასემინარო ნაშრომის თემა არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

პედაგოგიური პრაქტიკა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტობა) გავლა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის პედაგოგიური კომპეტენციების ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

კოლოქვიუმი არის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი და სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. კოლოქვიუმი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან

დაკავშირებული კვლევითი მასალის წარმოდგენასა და პრეზენტაციას. კოლოქვიუმების დადებითად ჩატარება წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გატანის წინაპირობას.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას, ხოლო სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარების გეგმის მიხედვით პროგრამების ცალკეული კურსის სილაბუსებში მოცემული სწავლის/სწავლების მეთოდები პერიოდულად შეფასდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პედაგოგთა ურთიერთდასწრების პროცესში და მოსწრების ანალიზის საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებში მოხდება მეცადინეობების მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- ხარისხის სამსახურის სისტემა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების მეთოდები მოცემულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფენ ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აწსუ-ს რეგულაციების შესაბამისად. კერძოდ, სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქულათა ფიქსირებული სკალა ქულათა მაქსიმუმით – 100. პროგრამაში სწავლის შედეგის შეფასებისთვის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია: წერითი გამოცდა, პრეზენტაცია, სემინარი, რეფერატი, აქტივობა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა)

შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას (მოიცავს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში – 30 ქულა და შუალედური გამოცდა – 30 ქულა), ხოლო 40 ქულა ეძლევა დასკვნით გამოცდას.

ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები გამჭვირვალეა, უზრუნველყოფს დოქტორანტის ინფორმირებულობას, მიღწევების გაკონტროლებას, მხარეებს შორის უკუკავშირს. შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფს კურსების სილაბუსები და განმახორციელებელი პერსონალი. ყოველი სემესტრის დასაწყისში დაზუსტდება და გამოქვეყნდება კონსულტაციების განრიგი.

<p>პროგრამის კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული კრედიტების ათვისება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად. დისერტაციის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).</p> <p>სილაბუსებში უმეტესწილად გამოყენებულია შეფასების ერთნაირი სისტემა. აღსანიშნავია, რომ სისტემა უნიფიცირებულია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ, თუმცა აღნიშნული სისტემა არ ზღუდავს შემფასებელს ცოდნის სათანადო შეფასებაში, რაც დადასტურდა განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების დროს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო პროგრამა; ○ ხარისხის სამსახურის სისტემა; ○ ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსებში მეტი თავისუფლება მიეცეთ სილაბუსის ავტორებს შეფასების სისტემის შედგენისას და სილაბუსი არ იყოს სრულად უნიფიცირებული შიდა ხარისხის სამსახურის მიერ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
<p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ დოქტორანტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, კერძოდ:</p> <p>დოქტორანტები აკადემიურ პერსონალისგან იღებენ კონსულტაციებს წინასწარი შეთანხმებით;</p> <p>დოქტორანტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის სერვისებით;</p>

აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები სარგებლობენ კორპორაციული ფოსტით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უწყვეტი კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში დისტანციური კონსულტაციების მიღება;

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების ამსახველი მასალა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ასევე დამოუკიდებლად მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს შემდეგი რეგულაციები:

- სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის ცალკეული კომპონენტების არჩევის წესი.
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის

დოქტორანტის შემდგომი მობილობით უზრუნველყოფის მექანიზმი.

უნივერსიტეტი და ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რომელიც ხორციელდება პარტნიორ დაწესებულებებში, კერძოდ აწსუ-სა და შ.ესენოვის სახელობის კასპიის ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო უნივერსიტეტს (ქ.აქტაუ, ყაზახეთის რესპუბლიკა) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დოქტორანტები მონაწილეობას იღებენ ერთობლივ კვლევით სამუშაოებში, ასევე აღსანიშნავია რომ, ფაკულტეტზე დაფინანსებულია 23 პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და USAID-ის მიერ, რომლებშიც გათვალისწინებულია დოქტორანტების ჩართულობა და მათი კვლევების განახორციელების ხელშეწყობა პარტნიორ დაწესებულებებში.

დოქტორანტები ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ დაგეგმილ კვლევით სამუშაოებში, დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი თითოეული ნაშრომი წარმოდგენს კვლევის შედეგს. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე პროგრამის დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებისა და ფორუმების მუშაობაში და გამოაქვეყნონ სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №132/ნ (2013 წლის 9

<p>სექტემბერი), ქ. თბილისი - “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე”;</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტში სტუდენტის სწავლის ვადის განსაზღვრის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ბრძ. N01-04/64, 4.10.2016; ○ სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დადგენილება N12 (17/18), 10.11.2017; ○ დოქტორანტების პუბლიკაციები; ○ აკადემიური საბჭოს დადგენილება N33 (17/18), 5.12.2017; ○ დოქტორანტების ინდივიდუალური გეგმები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/index.php/conferences-geo.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გასათვალისწინებელია რომ, მცირეა საერთაშორისო კვლევებსა და პროექტებში ჩართულ დოქტორანტთა რაოდენობა, კარიერული განვითარების მიზნით სასურველი იქნებოდა მათი ინფორმირება მეტი საერთაშორისო პროექტების შესახებ და მათი გააქტიურება კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე მათი ჩართულობის ხელშეწყობა შესაბამის საერთაშორისო მობილობის სქემებსა და გრანტებში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ების და დაცული დისერტაციების შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

საკვლევი თემების შერჩევა ხდება დოქტორანტის, შესაბამისი მიმართულების წამყვანი პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით. თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი/ები, სათაური და მოკლე აღწერა განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის სხდომაზე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო ან სხვა აკრედიტებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი, რომელსაც აქვს ინჟინერიის სფეროში კვლევის გამოცდილება, რაც დასტურდება მინიჭებული ხარისხით და პუბლიკაციებით. ასევე მისი/მათი სამეცნიერო მიმართულება შესაბამისობაში არის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემატიკასთან და გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება თემის კვლევით დაგეგმილ მეთოდებსა და ხერხების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები;
- დაცული დისერტაციები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://atsu.edu.ge/index.php/disertaciebi-geo>.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>დოქტორატებთან ინტერვიუს დროსაც დაფიქსირდა სურვილი და მათ კვლევებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით სასარგებლო იქნებოდა თანახელმძღვანელად/ხელმძღვანელებად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სულ ჩართულია 27 აკადემიური პერსონალი, მათგან 12 პროფესორია, ხოლო 15 - ასოც.პროფესორი. ამ აკადემიური პერსონალისგან 23 ავილირებულია: 8 პროფესორი და 15 ასოც. პროფესორი. სწავლებაში ჩართულია 3 მოწვეული პერსონალი, მათგან 1 უცხოელი პერსონალია. აქედან ნათელია, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დაცულია, რაც შემდგომ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პერსონალის სამუშაო აღწერილობები მოცემული უსდ-სთან დადებულ ხელშეკრულებებში, სადაც ასევე მოცემულია პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაცია, ასევე მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამაში ჩართული პერსონალის CV-ები, საიდანაც იკვეთება პერსონალის კვალიფიკაცია, რომელიც შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ასევე, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილების და კომპეტენციის ქონით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს მოწვეულ უცხოელ პერსონალთან, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორთან, რომელმაც ისაუბრა მის კვალიფიკაციაზე ელექტროინჟინერიის მიმართულებით.

აწსუ-ს მიერ ელექტრონულად მოწოდებული პირადი საქმეებიდან გამოიკვეთა, რომ რამდენიმე ხელშეკრულებებს აკლია გვერდები. აწსუ-ში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს მათგან მოთხოვნილ იქნა ამ პერსონალის ახალი ან/და გაგრძელებული ხელშეკრულებები, რაც უნივერსიტეტმა წამოადგინა ქსეროასლების სახით, ასევე, წარმოდგენილ იქნა აწსუ-ს რექტორის ბრძანება N01-04/57 (14.09.2018წ) სსიპ - აკაკი

წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული ასოცირებული პროფესორების შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადის თაობაზე (დანართი 3).

როგორც პერსონალის CV-ებიდან ჩანს, ასევე პერსონალთან ინტერვიუს დროს იკვეთება მათი კვალიფიკაცია, კერძოდ, შესრულებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის საერთაშორისო დონეზე. ასევე აღსანიშნავია მათი აქტიური ჩართულობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მას, გააჩნია ინჟინერიის სფეროში (მყარი ტანის მექანიკა, მასალების ინჟინერია, მათემატიკური მოდელირება ტექნიკაში) სამეცნიერომოდვაწეობის 34 წლიანი გამოცდილება და საინჟინრო მიმართულებით პედაგოგიური მოღვაწეობის 34 წლიანი გამოცდილება ხელმძღვანელობდა ქართულენოვან და რუსულენოვან სადოქტორო პროგრამებს „მასალები, ტექნოლოგიური პროცესები და მანქანები, სამშენებლო ნაგებობები“, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 სადისერტაციო ნაშრომი ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, მათ შორის ორმა დოქტორანტმა ყაზახეთიდან. შესაბამისად, მას აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

ასევე, უნივერსიტეტის ვებ გვერდის საშუალებით და ინტერვიუს დროს ჩანს, რომ პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის და საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგისა და პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელი პროცედურების სრული დაცვით. მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა ძველი პროგრამების სტუდენტების მიერ დაცული დისერტაციები; დისერტაციების თემატიკა სადოქტორო პროგრამების შესაბამისია და შესრულებულია მაღალ დონეზე. ხელმძღვანელთა კვლევითი თემატიკა შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომების თემატიკებს. ამ ნაშრომებიდან ნამდვილად იკვეთება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელების დიდი გამოცდილება კვლევებში.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების წინასწარ განზადვრულ ოპტიმალურ რაოდენობასთან, კერძოდ 27 აკადემიური პერსონალი, მინიმუმ 7 სტუდენტზე. აკადემიური/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების პროცესში, კერძოდ, მათ აქვთ დოქტორანტებისათვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათები (ინფორმაცია გამოკრულია მათ სამუშაო ადგილზე), რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება და CV-ები;
- სსიპ - აწსუ-ს რექტორის ბრძანება N01-04/57;
- პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულება და CV;
- აკადემიური პერსონალის შრომები (მოცემულია CV-ებში);
- აწსუ-ს ვებ გვერდი <https://atsu.edu.ge/>;
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დაცული დისერტაციები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას. მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკიდან ნათლად ჩანს უნივერსიტეტის ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სემინარები, ტრენინგები, რასაც ინტერვიუს დროს დასტურდება აკადემიური პერსონალის მიერ. ასევე, წარმოდგენილია დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობა (2011-2017 პერიოდში), მათ შორის აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა უცხოეთში. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული იყო USAID და MCA-Georgia მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში, რომელთა ფარგლებში პერიოდულად იმართებოდა ენერგეტიკის სფეროს საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები და შეხვედრები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორები.

ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალი ადასტურებს, რომ პერიოდულად (წელიწადში ერთხელ მაინც) ისინი იღებენ მონაწილეობას კმაყოფილების კვლევაში და შემდგომ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მათი რჩევები და სურვილები გათვალისწინებულია. აღნიშნული კვლევა შესავსებად მათ ეგზავნებათ კორპორატიულ მეილზე.

უსდ ზრუნავს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაზე როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე, ასევე სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებთან და კომპანიებთან დადებული მემორანდუმების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტი;
- პროგრამის კვლევის კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> - უსდ-ს მხრიდან მოხდეს ახალი თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიების მოწყობა საინჟინრო პროგრამების ადგილზე სრულფასოვნად განსახორციელებლად.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აწუს-ს სასწავლო კორპუსები, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამის</p>

განხორციელება უზრუნველყოფილია საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის მასალათმცოდნეობის, მასალების მექანიკის, მეტროლოგიის, ელექტრული ინჟინერიისა და ენერჯეიკის, სამშენებლო მასალების, გეოდეზია-გეოლოგიის, მასალების დამუშავების, შედუღების ტექნოლოგიების, სამშენებლო კონსტრუქციების, ჰიდროაერომექანიკის, მემბრანული ტექნოლოგიების, პროცესების კაბინეტ-ლაბორატორიებით; პერსონალური კომპიუტერების კლასი ინტერნეტის ქსელით და პროგრამული უზრუნველყოფით.

უსდ-ს გააჩნია სრულყოფილი საბიბლიოთეკო რესურსი საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სისტემების სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით და საშუალებებით. სტუდენტებს და პერსონალს აქვს თავისუფალი წვდომა, როგორც ადილობრივ, ასე საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე; ეს გადამოწმდა როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე დადასტურდა ინტერვიუს დროს. ბიბლიოთეკაში მომხმარებელს უზრუნველყოფს ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის წესებით. წიგნადი ფონდი შეესაბამება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითობის პრინციპით სილაბუსებიდან შერჩეული 20 დასახელების სახელმძღვანელოდან გადამოწმდა რამდენიმე, რომელიც ადვილად მოიძებნა ბიბლიოთეკის ბაზაში (დანართი 2).

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისთვის უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალური რესურსი, რაც პროგრამის განხორციელების საწინდარია. აღსანიშნავია, რომ რიგ მიმართულებებს აქვს თანამედროვედ აღჭურვილის ლაბორატორიები, რაც კვლევების უპრობლემოდ განხორციელების საშუალებას იძლევა (მაგ. ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით). აღნიშნულ ლაბორატორიებში ქართულ ენაზე გამოცემული სტენდების მოხმარების წესები და გამოყენების შესაძლებლობებია წარმოდგენილი, რაც ყველა სტუდენტისთვისაა ხელმისაწვდომი. ზოგიერთი მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმაოდ მოძველებულია, თუმც არის მუშა მდგომარეობაში. პერსონალი აღნიშნავს, რომ თუნდაც ამ მოძველებულ ბაზაზე სადოქტორო კვლევების განხორციელება შესაძლებელია. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები საჭირო კვლევებისათვის, უნივერსიტეტს აქვს დადებული მემორანდუმები სხვადასხვა დარგობრივ/კვლევით ორგანიზაციებთან და მათი მხარდაჭერით უზრუნველყოფს მასალებთან, ტექნოლოგიურ პროცესებსა და მანქანებთან, მშენებლობასთან დაკავშირებულ კვლევებს. ეს ფაქტი დადასტურებულ იქნა კომპანიების წარმომადგენლების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დამსაქმებლებთან შეხვედრის დროსაც. შპს „დიზაინკომპლექსი“ სამომავლოდ გეგმავს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კვლევების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კომპანიის ბაზაზე გახსნას კვლევითი ლაბორატორია.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს მხრიდან მოხდეს ახალი თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორიების მოწყობა საინჟინრო პროგრამების უნივერსიტეტის ბაზაზე სრულფასოვნად განსახორციელებლად.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-მიერ წამორდგენილი პროგრამის ბიუჯეტის ფაილში ჩანს პროგრამის წლიური ხარჯი, რომელიც შეადგენს 20522,4 ლარს და რომელიც გათვლილია სტუდენტების კონტიგენტის ოპტიმალურ რაოდენობაზე (7 სტუდენტი). სწავლის ქირის შესაბამისად (2759 ლარი წელიწადში), 7 და ნაკლები სტუდენტის არსებობის შემთხვევაში პროგრამა წამგებიანია. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გახილულ იქნა აღნიშნული საკითხი. კანცლერი აღნიშნავს, რომ კომერციალიზაციით და სხვა ეკონომიკური შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აღნიშნული დეფიციტის გადაფარვას, ასევე კვლევების ნაწილი დაფინანსდება ფაკულტეტზე მოპოვებული საგრანტო პროექტებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ○ ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტი; ○ საგრანტო პროექტები; ○ პროგრამის ბიუჯეტი. ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, უნივერსიტეტმა გაუწიოს პოპულარიზაცია საინჟინრო მიმართულებებს, განსაკუთრებით აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას, რათა მეტი სტუდენტი მოიზიდოს და უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს მიერ შემუშავებულია დოკუმენტი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის შემადგენელია „საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს ხარისხის მართვის სისტემასა და მის ორგანიზებას, შესაბამის პროცედურებს, სასწავლო და კვლევით პროცესში უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის პროცედურას, სწავლების ეთიკურ პრინციპებს, პლაგიატის გამოვლინება და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის პროცედურას,</p>
--

სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურას, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების პროცედურას, ხარისხის სისტემის შიდა აუდიტის პროცედურას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურას და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები რამდენიმე საფეხურიანია და მოიცავს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, აკადემიური პროცესის აკადემიური პერსონალის, კურიკულუმის და ა. შ. მონიტორინგის პროცესს.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემუშავებულია. ასევე შემუშავებულია სადოქტორო პროგრამის „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

პროგრამის შემუშავებაში, ასევე თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი შიდა ხარისხის სამსახურთან ერთად. ყველა ამ ჯგუფთან ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ჩანს, რომ შიდა ხარისხის სამსახური ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსის ფორმები უნიფიცირებულია, კერძოდ, ის, რომ შეფასების სისტემა გარდა რამდენიმე გამონაკლისისა არის იდენტური ყველა საგნისათვის, რასაც ასევე ადასტურებს შიდა ხარისხის სამსახური. იგივე ეხება კრედიტების და საათების განაწილების სქემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უმჯობესია, რომ სილაბუსებში მეტი თავისუფლება მიეცეთ სილაბუსის ავტორებს კრედიტების განაწილებისა და შეფასების სისტემის შედგენისას და სილაბუსი არ იყოს სრულად უნიფიცირებული შიდა ხარისხის სამსახურის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ გარე ექსპერტიზა განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტმა პროფესორი (ემერიტუსი) პენსილვანიის უნივერსიტეტი (ფილადელფია, აშშ). ექსპერტმა ჯგუფის ვიზიტის დროს განხორციელდა მასთან სკაიპ შეხვედრა, სადაც მან დაადასტურა მისი აქტიური ჩართულობა აღნიშნული სადოქტორო პროგრამის შეფასებისას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>

<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>იმის გამო, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ ახალი პროგრამაა, აღნიშნული პუნქტის შეფასება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელთან და შემმუშავებელ ჯგუფთან ინტერვიუების შედეგად გამოჩნდა, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, ისინი განახორციელებენ პროგრამის მონიტორინგს, გამოიყენებენ შემუშავებულ კითხვარებს კვლევების ჩასატარებლად და შემდგომ თვითშეფასების ანგარიშში ასახავენ მიღებულ შედეგებს და განხორციელებულ ცვლილებებს. კითხვარები გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ისინი საგანმანათლებლო პროგრამის რელევანტურია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა; ○ კვლევის კითხვარები;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები - III საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ია მოსაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვახტანგ ბალავაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ალექსანდრე წაქაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნიკა თიკანაშვილი